



**ო ნ ს მ უ ნ ი ც ი პ ა ლ ი ტ ე ტ ი**  
ქ. ონში, აღმაშენებლის მოედანზე ეკლესიის სარემონტო და ტერიტორიის  
შემოღობვის სამუშაოების შესყიდვის გამარტივებული ელექტრონული  
ტენდერის  
(შესყიდვის კატეგორია **45400000**)

**სატენდერო დოკუმენტაცია**

## სარჩევი

1. ინსტრუქცია ტენდერში მონაწილეობის.....	3
2. ტექნიკური დოკუმენტაცია.....	4
3. სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პროექტი .....	12
4. დამატებითი ინფორმაცია.....	11
5. დანართი №1, აფიდავიტის საილუსტრაციო ფორმა.....	16
5. დანართი №2 .....	17

წინამდებარე სატენდერო დოკუმენტაცია შედგენილია „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 121 მუხლის და „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის N9 ბრძანების საფუძველზე.

## ტექნიკური დავალება

1. შესყიდვის ობიექტი: ქ. ონში აღმაშენებლის მოედანზე ეკლესიის სარემონტო და ტერიტორიის შემოღობვის სამუშაოები მონოდების ვადა – ხელშეკრულების გაფორმებიდან **2 თვის** ვადაში.  
დაფინანსების წყარო – ადგილობრივი ბიუჯეტი

მისამართი: ქ. ონი, აღმაშენებლის მოედანი.

აღმაშენებლის მოედანზე ეკლესიის სარემონტო და ტერიტორიის შემოღობვის სამუშაოების  
დეფექტური აქტი (ხარჯთაღრიცხვა)


№	სამუშაოს დასახელება	განზომილება	რაოდენობა	მასალა		ხელფასი		ტრანსპორტი		ჯამი
				ერთ.ფასი	სულ	ერთ.ფას	სულ	ერთ.ფას	სულ	
	<b>დეკორატიული მესერი</b>									
	ორმოების ამოღება ლითონის კვადრატული მილებისთვის	ცალი	37							
	შრომის დანახარჯი	მ <sup>3</sup>	1							
	ლითონის კვადრატული მილების დაბეტონება	ცალი	37							
	შრომის დანახარჯი	მ <sup>3</sup>	1							
	ლითონის კვადრატული მილები 70X70 მმ სიგრძე 1,7	ცალი	37							
	ბეტონი	მ <sup>3</sup>	1							
	მესერის სეგმენტის მოწყობა 2,1 მ სიგრძით	ცალი	34							
	შრომის დანახარჯი	ცალი	34							

განივი კვადრატული მილი ზომით 30X50 მმ	გრძ.მ	150							
ვერტიკალური კვადრატული მილი ზომით 20X50X170 მმ სისქე 2 მმ	ცალი	740							
ელექტროდი	პანკა	5							
<b>შესასვლელი კარებებისთვის დეკორატიული სვეტების მოწყობა ზომით 40X40X180 სმ</b>	<b>მ<sup>2</sup></b>	<b>10,3</b>							
შრომის დანახარჯი	მ <sup>2</sup>	10,3							
ფიქალი და წითელი ქვა	მ <sup>3</sup>	1							
ქვიშა	მ <sup>3</sup>	0,3							
ცემენტი	ცალი	4							
<b>დეკორატიული განათების მოწყობა</b>	<b>ცალი</b>	<b>41</b>							
შრომის დანახარჯი	ცალი	41							
სპილენძის კაბელი 2X6	გრძ.მ	170							
დეკორატიული პლაფონი პატარა	ცალი	37							
დეკორატიული პლაფონი დიდი	ცალი	4							
ნათურა	ცალი	41							
<b>მესერის შეღებვა</b>	<b>მ<sup>2</sup></b>	<b>164</b>							
შრომის დანახარჯი	მ <sup>2</sup>	164							
ემალის საღებავი	კბ	45							
<b>კარების ამოშენება და შეღესვა</b>	<b>მ<sup>3</sup></b>	<b>1,5</b>							
შრომის დანახარჯი	მ <sup>3</sup>	1,5							
წვრილი საკედლე ბლოკი	ცალი	93							
ქვიშა	მ <sup>3</sup>	1							

	ცემენტი	ცალი	8						
	<b>ახალი კარების მოწყობა</b>	<b>მ<sup>2</sup></b>	<b>6</b>						
	შრომის დანახარჯი	მ <sup>2</sup>	6						
	ხე მასალა	მ <sup>2</sup>	6						
	საკეტი	ცალი	2						
	ლითონის ფურცელი სისქით 0,5 მმ	მ <sup>2</sup>	6						
	<b>კედელში მრგვალი სარკმელების მოწყობა</b>	<b>ცალი</b>	<b>6</b>						
	შრომის დანახარჯი	ცალი	6						
	მრგვალი სარკმელი	ცალი	6						
	<b>დაზიანებული ნაღესის მოხსნა და შეღესვა ხელახლა</b>	<b>მ<sup>2</sup></b>	<b>100</b>						
	შრომის დანახარჯი	მ <sup>2</sup>	100						
	ქვიშა	მ <sup>3</sup>	3						
	ცემენტი	ცალი	18						
	<b>ფასადის ორი გვერდის შეღება ფასადის საღებავით</b>	<b>მ<sup>2</sup></b>	<b>420</b>						
	შრომის დანახარჯი	მ <sup>2</sup>	420						
	ფასადის საღებავი	კბ	125						
	<b>მასალის ტრანსპორტირება</b>	<b>რეისი</b>	<b>3</b>						
	<b>ჯამი</b>								
	ზედნადები ხარჯი %								
	<b>ჯამი</b>								
	გეგმიური დაგროვება %								
	<b>ჯამი</b>								


	დ.გ.პ. 18 %									
	ჯამი									

მასშტაბი-1:20





დავით აღმაშენებლის მოედანზე, საპატრიარქოს  
შენობის შემოღობვის სქემა. შ-1:200



## 2. პრეტენდენტებმა ასევე უნდა წარმოადგინონ:

ა) საავანსო ანგარიშსწორება არ განიხილება;

ბ) ინფორმაცია კომპანიის რეკვიზიტების შესახებ (ორგანიზაციის ან ფიზიკური პირის დასახელება, იურიდიულ მისამართი, ტელეფონის/ფაქსის ნომერი, საბანკო რეკვიზიტები, ხელმძღვანელ(ებ)ის სახელი და გვარი, (დანართი №2).

## 3. პრეტენდენტის მიერ სისტემაში ასატვირთი მონაცემები:

ა) ხარჯთაღრიცხვა, მოცემული ცხრილის მიხედვით (ხელმოწერილი და ბეჭედ დასმული-არსებობის შემთხვევაში);

ბ) ინფორმაცია კომპანიის რეკვიზიტების შესახებ;

გ) ინფორმაცია ანგარიშსწორების შესახებ;

დ) ინფორმაცია სამუშაო ვადის დასრულების შესახებ;

პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი სატენდერო წინადადება და სატენდერო დოკუმენტაცია დამონმებული უნდა იყოს უფლებამოსილი ან მისი ნდობით აღჭურვილი (სათანადო წესით დამონმებული მინდობილობის საფუძველზე) პირის ხელმოწერითა და ბეჭდით. სატენდერო წინადადება უნდა მოქმედებდეს მისი სისტემაში ატვირთვის დღიდან ტენდერისათვის „ხელშეკრულება დადებულია“, „დასრულებულია უარყოფითი შედეგით“, ან „ტენდერი შეწყვეტილია“ სტატუსის (ერთ-ერთი) მინიჭებამდე.

ტენდერში გამოყენებული იქნება სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის გარანტია (ელექტრონული გარანტია) სატენდერო განცხადებაში მითითებული სავარაუდო ღირებულების 1%-ის ოდენობით, რომლის მოქმედების ვადა განისაზღვრება სულ მცირე 120 კალენდარული დღით ტენდერისათვის „წინადადებების მიღება დაწყებულია“ სტატუსის მინიჭების ეტაპიდან.

სატენდერო საფასურის ოდენობა შეადგენს 50 ლარს.

შენიშვნა: ელექტრონული გარანტიის ბენეფიციარი/მიმღები არის სააგენტო. ელექტრონული გარანტიის სააგენტოსთვის წარდგენა და საფასურის გადახდა ხორციელდება სისტემაში არსებული ავტომატური საშუალებების მეშვეობით. ელექტრონული გარანტიისა და საფასურის წარდგენა ხდება ტექნიკური დოკუმენტაციის სისტემაში ატვირთვამდე.

პრეტენდენტს არა აქვს უფლება წარმოადგინოს ალტერნატიული წინადადება.

მიმწოდებელი ვალდებულია გაეცნოს და დაეთანხმოს აფიდავიტის პირობებს, რა სახითაც იგი წარმოდგენილი იქნება სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში, სატენდერო წინადადების წარდგენამდე. აფიდავიტის საილუსტრაციო ფორმა მოცემულია დანართ N1-ში. დანართი N1-ით გათვალისწინებული აფიდავიტის ფორმა დოკუმენტაციაში წარმოდგენილია მხოლოდ საილუსტრაციო მიზნებისთვის. აფიდავიტის პირობებზე დათანხმება ხდება ერთიან ელექტრონულ სისტემაში ელექტრონულად შესაბამის დილაკზე დაჭერით.

დამატებითი ინფორმაცია შეგიძლიათ მიიღოთ შემდეგი საკონტაქტო პირებისგან: მიხეილ ბიძიშვილი ტელ: 599 228786 ; გივი ბენდიანიშვილი- არქიტექტურისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსი ტელ.: 591 010371; მარინე მაისურაძე ტელ.: 595 257272, ელ-ფოსტა: [marinemaisuradze@yahoo.com](mailto:marinemaisuradze@yahoo.com), მის: ქ. ონი, დ. აღმაშენებლის მოედანი №1

**სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პროექტი**  
**ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ**

ხელშეკრულების პირობების საბოლოო ვარიანტი შეიძლება დაზუსტდეს და დაიხვეწოს ტენდერში გამარჯვებულ პრეტენდენტთან ხელშეკრულების გაფორმების პროცესში.

წინამდებარე ხელშეკრულება დაიდო ----- 201 წ.  
ერთის მხრივ

----- (შემდგომში „შემსყიდველი“)

და მეორეს მხრივ

----- (შემდგომში „მიმწოდებელი“)

(მიმწოდებლის დასახელება და რეკვიზიტები)

შორის.

იმის გათვალისწინებით, რომ შემსყიდველმა ჩაატარა გამარტივებული ელექტრონული ტენდერი

----- შესყიდვის ობიექტის მოკლე აღწერა შესყიდვაზე რომელშიც გამარჯვებულად მიხნეულ იქნა მიმწოდებლის სატენდერო წინადადება, რომლის თანახმად მიმწოდებელმა აიღო ვალდებულება გაუწიოს შემსყიდველს ზემოაღნიშნული მომსახურება შემდეგ

თანხაზე: ----- (ხელშეკრულების თანხა ციფრებით, სიტყვიერად და ვალუტის ჩვენებით)

(შემდგომში „ხელშეკრულების ღირებულება“).

**1. გამოყენებული ტერმინების განმარტებები ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:**

1.1 „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ (შემდგომ – „ხელშეკრულება“) – შემსყიდველ ორგანიზაციასა და ტენდერში გამარჯვებულ პრეტენდენტს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და დამატებებით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

1.2 „ხელშეკრულების ღირებულება“ ნიშნავს საერთო თანხას, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის;

1.3 „შემსყიდველი ორგანიზაცია“ (შემდგომ „შემსყიდველი“) ნიშნავს ორგანიზაციას (დაწესებულებას), რომელიც ახორციელებს შესყიდვას;

1.4 „მიმწოდებელი“ ნიშნავს პირს, რომელმაც მოიპოვა გამარჯვება ტენდერში და უზრუნველყოფს მომსახურების გაწევას სახელმწიფო შესყიდვის შესახებ მოცემული ხელშეკრულების ფარგლებში;

1.5 „დღე“, „კვირა“, „თვე“ ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს.

**2. ხელშეკრულების საგანი**

2.1. მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას განახორციელოს ----- სამუშაოები.

2.2. შემსყიდველი უნაზღაურებს მიმწოდებელს შესრულებული სამუშაოების ღირებულებას, ხელშეკრულების მე-6, მე-7 და მე-8 მუხლის შესაბამისად.

**3. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი**

3.1 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე კონტროლს ახორციელებს შემსყიდველის მიერ შექმნილი სპეციალური ჯგუფი, რომელიც შემსრულებლის წარმომადგენელთან ერთად ამოწმებს შესრულებული სამუშაოების მოცულობებს, მათ ხარისხს და პროექტთან შესაბამისობას, რის შესახებაც ადგენს აქტს.

3.2 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი რესურსებით უზრუნველყოს შემსყიდველის კონტროლის ჩატარებისათვის აუცილებელი ტექნიკური საშუალებებით.

3.3 ხელშეკრულების მიმდინარეობაზე ზედამხედველობას გაუწევს შემსყიდველის მიერ დადგენილი პირი.

**4. სამუშაოს შესრულების პირობები**

4.1 სამუშაოს შესრულება ხორციელდება მოცემული ხარჯთაღრიცხვის მიხედვით.

4.2 სამუშაოების შესრულების ვადებში ცვლილებების შეტანა დაუშვებელია მეორე მხარესთან შეთანხმების გარეშე.

4.3 ხარჯთაღრიცხვით გაუთვალისწინებელი სამუშაოები შემსყიდველის მიერ არ ანაზღაურდება.

4.4 სამუშაოს დასრულების შემდგომ ერთი წლის განმავლობაში მიმწოდებლის მიხედვით გამოვლენილ დეფექტებს შეაკეთებს ანაზღაურების გარეშე.

4.5 ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების დასრულება უნდა მოხდეს ხელშეკრულების ვადების დღიდან ----- ვადაში.

## 5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1 შესყიდვის ობიექტი ან მისი ნაწილი ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

5.2 შესყიდვის ობიექტის ჩაბარება ხდება შემსყიდველის მიერ შექმნილი სპეციალური ჯგუფის მიერ შესრულებული სამუშაოების შესახებ შედგენილი აქტის საფუძველზე.

5.3 შესყიდვის ობიექტის შემოწმების შედეგად გამოვლენილი დეფექტის აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს მიმწოდებელი. (10 დღის ვადაში)

5.4 შემსყიდველი ვალდებულია ოპერატიულად, წერილობითი სახით, აცნობოს მიმწოდებელს საბოლოო შემოწმების შედეგები დაწუნებული სამუშაოს მოცულობის და წუნდების მიხედვით მითითებით.

## 6. ანგარიშსწორება

6.1 ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება გადარიცხვით;

## 7. ანგარიშსწორების ვალუტა

7.1 ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ლარებში

## 8. ხელშეკრულების სახარჯთაღრიცხვო ღირებულება

8.1 ხელშეკრულების სახარჯთაღრიცხვო ღირებულება შეადგენს -----(-----) ლარს.

## 9. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

9.1 არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება, ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორების გარდა.

9.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამის ინფორმაციას.

9.3 ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა, 398-ე მუხლით გათვალისწინებული გარემოების დადგომის შემთხვევაში, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია ხელშეკრულების ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით.

9.4 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.

## 10. უფლებების გადაცემა

10.1 მიმწოდებელმა შემსყიდველის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე, არც მთლიანად და არც ნაწილობრივ არ უნდა გადასცეს მოცემული ხელშეკრულებით არსებული თავისი ვალდებულებები.

## 11. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

11.1 თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების შესრულება, ამ მხარემ წერილობით

უნდა აცნობოს ამის შესახებ მეორე მხარეს. შეტყობინების მიმდებმა მხარემ რაც შეიძლება მოკლე ვადაში უნდა აცნობოს თავისი გადაწყვეტილება მეორე მხარეს, მიღებული აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

11.2 იმ შემთხვევაში თუ მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის გზით.

## 12. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

12.1 ფორს-მაჟორული პირობების გარდა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისა ან/და დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში გამოიყენება საჯარიმო სანქციები: ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადების გაცდენის შემთხვევაში ყოველ დაგვიანებულ დღისათვის მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების ღირებულების 0,1 პროცენტი. შემსრულებელი თუ 20 დღის განმავლობაში არ აღმოფხვრის გრაფიკიდან ჩამორჩენას შემსყიდველს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება.

12.2 საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

## 13. ხელშეკრულების შეწყვეტა მისი პირობების შეუსრულებლობის გამო

13.1 შემსყიდველს შეუძლია მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს ხელშეკრულება, მიმწოდებლისათვის ვალდებულებების შეუსრულებლობის წერილობითი შეტყობინების შემდეგ:

13.2 თუ მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ან შემსყიდველის მიერ გაგრძელებულ ვადაში არ შეუძლია შეასრულოს სამუშაო ან მისი ნაწილი;

13.3. თუ მიმწოდებელს არ შეუძლია შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული, რომელიმე ვალდებულება.

13.4. ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

13.5. შემსყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ აგრეთვე:

ა) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

ბ) მიმწოდებლის გაკოტრების შემთხვევაში

გ) თუ მისთვის ცნობილი გახდება, რომ მიმწოდებლის საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი მონაცემები აღმოჩნდება ყალბი;

დ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში;

#### **14. ფორს-მაჟორი**

14.1 ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარო სანქციების გამოყენებას თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.

14.2 ფორს-მაჟორული გარემოებები შეიძლება გამოწვეული იქნეს ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასივნების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

14.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამოძვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობებისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

#### **15. სადაო საკითხების გადაწყვეტა**

15.1 შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა დონე უნდა იხმაროს, რათა მოლაპარაკების გზით მოავარდინოს უთანხმოება.

15.2 თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30(ოცდაათი) დღის განმავლობაში მხარეები ვერ შეძლებენ სადაო საკითხების მოგვარებას მაშინ მათ უფლება აქვთ დადგინდონ წესის მიხედვით მიმართონ სასამართლოს.

#### **16. გამოყენებული სამართალი**

16.1 ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტენატიურული იქნება საქართველოს კანონების მიხედვით.

#### **17. შეტყობინება**

17.1 ნებისმიერი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე, ხელშეკრულების შესაბამისად, უგზავნის მეორე მხარეს, გაიგზავნება წერილის, დეპეშის, ტელექსის ან ფაქსის სახით, ორიგინალის შემდგომი წარმოდგენით, ხელშეკრულებაში მითითებული მეორე მხარის მისამართზე.

17.2 შეტყობინება ძალაში შედის ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს ან შეტყობინების ძალაში შესვლის დადგენილ დღეს, იმის მიხედვით, თუ ამ თარიღებიდან რომელი უფრო გვიან დგება.

#### **18. გადასახადები და დაბეგვრა**

18.1 მიწოდებელი პასუხს აკებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის და სხვა გადასახდელების გადახდაზე.

### **რეკვიზიტები**

შემსყიდველი:

მიმწოდებელი:

-----

-----

## აფიდავიტი

### სატენდერო წინადადების დამოუკიდებლად განსაზღვრის თაობაზე

გამოცხადებულ ტენდერში ჰონარიულობის მიღებას მიზნით. ვადასტურებ, რომ ჩემს მიერ წარმოდგენილი სატენდერო წინადადება შეუშავებელია კონკურენტისგან დამოუკიდებლად ასევე ვადასტურებ, რომ:

\* ჩემთვის ცნობილია, რომ სატენდერო წინადადება დისკვალიფიცირებულ იქნება, თუ აღმოჩნდა, რომ აფიდავიტში მოცემული ინფორმაცია არის ყალბი ან/და ცრუ;

\* უკლებამოსილი ვარ პრეტენდენტის მიერ, სულს მოვანერო ამ აფიდავიტს და წარვადგინო ეს სატენდერო წინადადება;

\* ნებისმიერ პირი, რომელია ხელმოწერა და დამოუკიდებელია სატენდერო წინადადებაზე, შესაბამისად უკლებამოსილია პრეტენდენტის მიერ;

\* ჩემთვის ცნობილია რომ ტერმინი "კონკურენტი" აფიდავიტის მიზნებიდან გამომდინარე, გულისხმობს ნებისმიერ პირს, რომელიც შესაძლებელია იყოს პრეტენდენტი ან/და წარადგინოს სატენდერო წინადადება ამ ტენდერში;

\* მატერიალური გამორჩენის ან უპირატესობის მიღების მიზნით პრეტენდენტსა და კონკურენტს შორის არ წარმოებულა კონსულტაცია, კორუფცია, შეთანხმება ან მოლაპარაკება შემდეგ საკითხებთან დაკავშირებით:

- სატენდერო წინადადების ფასი;
- სატენდერო წინადადების ფასის გამოთვლის მეთოდი, კოეფიციენტი ან ფორმულა;
- სატენდერო წინადადების წარდგენა ან წარდგენისგან თავის შეკავება;
- ისეთი სატენდერო ხაზადადების გახზობა წარდგენა, რომელიც არ აკმაყოფილებს გამოცხადებული ტენდერის პირობებს;
- შესყიდვის ობიექტის ხარისხი, მოცულობა, ტექნიკური პირობები ან მინოდების დეტალები, რომელთაც უხება სატენდერო წინადადება;

\* სატენდერო წინადადების პირობები პრეტენდენტს წინააღობის განზრახვით, პირდაპირ ან არაპირდაპირ, არ გაუმჟღავნებია ან/და არ გაუმჟღავნებს კონკურენტს სატენდერო წინადადება განსაჯაროების მომენტამდე.

გავცვანი ამ აფიდავიტის შინაარსს და ვადასტურებ წარმოდგენილი ინფორმაციის უტყუარობას.

---

სახელმწიფო შესყიდვების მიზნებისთვის, აფიდავიტი წარმოადგენს სატენდერო წინადადების დამოუკიდებლად განსაზღვრის თაობაზე წერილობით დოკუმენტს, რომლის ხელმოწერა, პრეტენდენტის სახელით, ადასტურებს დოკუმენტში მითითებული ინფორმაციასა და გარემოებების უტყუარობას და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით პასუხს აგებს აღნიშნული ინფორმაციისა და გარემოებების უტყუარობაზე. აფიდავიტით განსაზღვრული პირობების დარღვევა იწვევს სისხლის-ამართლებრივ პასუხისმგებლობას საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 195<sup>1</sup> მუხლის შესაბამისად.



**1. რეკვიზიტები:**

პრეტენდენტის იურიდიული ფორმა და დასახელება:

ხელმძღვანელის სახელი და გვარი:

პრეტენდენტის იურიდიული ან/და ფაქტიური მისამართი:

საიდენტიფიკაციო კოდი:

პრეტენდენტის ტელეფონის ნომერი:

ელექტრონული მისამართი:

ბანკის დასახელება და კოდი:

ანგარიშსწორების ანგარიში:

ანგარიშის ნომერი:

-----

(ხელის მოწერა)

ბ.ა.